

# მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგეს ცხოვართათვის. (იოან. 10—11).  
 ვაოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სინარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).  
 მოვედით ჩემდა ყოველნი მასურალნი და ტვირთ-მძიმიენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 20

1883—1893

30 ოქტომბერს.

გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი :

„მწყემსი“		„მწყემსი“ რუსული გამოცემით	
12 თოვით . . . . . 5 მან.	6 — . . . . . 8 —	12 თოვით . . . . . 6 მან.	6 — . . . . . 4 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით: *Въ Квирилъ, въ редакцію „Микемси“ и „Пастыръ“.*

ყველა სუბსტიები და კორრესპონდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავად გამოგზავნილნი ვრცელად და გასაცემად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მაისის სარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატუები მიიღებიან რუსულს ენაზე და წერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ქართლ-კახეთის ეპარქიის მთელი სამღვდლოების დეპუტატების კრებისა გამოქ. თბილისში ოქტომბრის 8—14-დღე.

სამღვდლოების კრებები, რომელთაც საგნად აქვს მხოლოდ სასულიერო სასწავლებლების ხარჯთა-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება, მაინც და მაინც საინტერესონი არ არიან საზოგადოებისათვის. მაგრამ როცა ეს კრებები ამ საგნებთან ერთად იკვლევენ და იხილავენ სხვა-და-სხვა ღონისძიებათა, რომ თავიანთი მძიმე მოვალეობა მტკიცედ აღასრულონ ქრისტეს ერცელს ყანაში, მაშინ სამღვდლოე-

ბის კრებათა მოქმედება საინტერესო და საყურადღებოა მთელი მხარისა და საზოგადოებისათვის. ამისთანა შემთხვევაში კაცი ცხადათ ხედავს, თუ რა მდგომარეობაშია მართლ-მადიდებელი სარწმუნოების გაფრცელების საქმე და ან რა დაბრკოლება ხელება სამღვდლოებს თათვისი მძიმე მოვალეობის აღსრულების დროს. ამიტომ ასეთი კრებების დანიშნებას ყოველთვის ყურადღებით აღვნიშნავთ თვალს საზოგადოება და მოუთმენლად ვლის, თუ რა სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას ამ კრებათა დადგენილობა. მართლაც სამღვდლოების ამისთანა კრებებს, თუ ისინი ჯეროვანად ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას, ყოველთვის შეუძლია მოუტანონ საზოგადოებას დიდი



და დაუფასებელი სარგებლობა. მაგრამ, სამწუხაროდ, სამღვდლოების ამგვარ კრებათა მოქმედება და მსჯელობა ხშირად შეუტყობელი რჩება საზოგადოებისაგან. ზოგიერთ ქურნალ-გაზეთებში, რომელნიც თითქო, თვალ-ყურს ადევნებენ სამღვდლოების დებუტატების კრებას, რომ შემდეგ საზოგადოებას შეატყობინონ ამ კრებათა მოქმედება, ხშირად ეკითხულობთ: **კრებამ მოასმინა და დაადგინა.** მაგრამ აქედგან საზოგადოებას არ შეუძლია ჯეროვანად გაიგოს კრების მოქმედება, რომელზედაც თითოეული საგნის შესახებ სამღვდლოების დებუტატთა შორის იმართება გაცხარებული ბასი და მსჯელობა.

ქართლ-კახეთის ეპარქიის მთელი სამღვდლოების დებუტატების კრება თბილისში, რომელიც დანიშნულ იქმნა მისი მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობის, საქართველოს ექსარხოსის ელადიმირისაგან, ცხადთ გვიმტკიცებს, რომ სამღვდლოებამ, ერთის მხრით, შეამჩნია ზოგიერთი უსწორ მასწორობა მათი ზოგადოების აღსრულების დროს და, მეორეს მხრით, შეეგონა ის სიძნელე და დაბრკოლება, რომელიც ელობება მას წინ მისი მოვალეობის მტკიცედ აღსრულების დროს. ამ კრების დანიშნით სამღვდლოება და საზოგადოება ცხადთ ხედავს, თუ რამდენად მონდომებულია მათი მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობა, საქართველოს ექსარხოსის ელადიმირი გააუმჯობესოს ჩვენი სასულიერო სასწავლებლების მდგომარეობა და ჯეროვანად წარმართოს სამღვდლოების ბწყემსებრივი სამსახური. ვეცდებით ყოველივე ეს ვრცლად შევატყუაბიოთ ჩვენს მკითხველებს.

8 ოქტომბერს, როგორც უწყიან ჩვენმა მკითხველებმა, ქართლ-კახეთის ეპარქიის მთელი წარმომადგენელი შეიკრიბნენ თბილისში სასულიერო სემინარიის შენობაში. დებუტატებს გარდაამ კრებაზე მოწოდებული იყვნენ აკრეთვე ბლალოჩინებიც. ყველა დებუტატები და ბლალოჩინები შეიკრიბნენ ნან კაცამდე. ამათ გარდა კრებას დაესწრო ბევრი სამღვდლო პირი. კრების გახსნამდე დებუტატები და ბლალოჩინები გამოცხადდნ მათ მეუფებას ლოცვა-კურთხევის მისაღებად. მათმა მეუფებამ გადასცა სამღვდლოების წარმოკვადგენელთ ლოცვა-კურთხევა და შემდეგ მიმართა მათ გრძნობით საესე სიტყვით, რომელიც აქვე მოგვყავს მოკლეთ: **მმ. ბლალოჩინებო და დებუტატნო!** ძე მოგიწვიეთ თქვენ, რათა განიხილოთ ზოგიერთი კითხვები სასულიერო სემინარიის

და ოთხ-კლასიანი სასწავლებლების შესახებ; მაგრამ ამასთან სასურველია, რომ თქვენ გამოინახოთ სხვა და სხვა ღონისძიება, რათა უკეთესად ასწავლოთ მრევლს სარწმუნოება და ქრისტიანული ზნეობა. საზოგადოდ შემჩნეულია, რომ ეკლესიის მწყემსნი ამბობენ ქადაგებას, მაგრამ ამ ქადაგებათა და მოძღვრებათა შინაარსი არ ესმის მდაბიო ხალხს. ან-კი როგორ შეუძლიათ გაიგონ მათ ასეთი მოძღვრებანი, როცა მათ სულ უბრალო ლოცვებზე არ იციან? ამიტომ ეცადეთ, ასწავლოთ ხალხს პირველად მოკლე ლოცვები, რომელნიც საჭირონი არიან ყოველი ქრისტიანე კაცისათვის; პირველად ასწავლეთ მათ დაბიურის ენით ქრისტეს სწავლის უპირველესი ქემ-მარტებანი და ქრისტიანული კეთილ-ცხოვრების ელემენტარული წესები; თქვენი ცოცხალი და ტკბილი სიტყვით გააღვიძეთ თქვენს სამწყსოში გაგრილებული სარწმუნოება და შეაგონეთ მათ, რათა იარონ ტაძარში წირვა-ლოცვის მოსასმენად. შემდეგ მათმა მეუფებამ აღნიშნა კითხვები, რომელიც უნდა განეხილა ამ კრებას.

სამღვდლოების დებუტატებმა და ბლალოჩინებმა მიიღეს ლოცვა-კურთხევა მათი მეუფებისაგან და დილის 11 საათზე დაბრუნდნ სემინარიაში. აქ პირველად გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი და შემდეგ შეუდგნენ კრების თავსმჯდომარეს კანდიდატების აღრჩევას.

როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდა თავსმჯდომარეს კანდიდატების აღრჩევაზე, ზოგიერთებმა მომხრეობით დაიწყეს მსჯელობა და ურჩევდნ საპლედლოებას აღრჩიათ თავსმჯდომარედ მაინც და მაინც მაშგან დასახელებული პირი და არა სხვა ვინმე. მოგვყავს აქ ზოგიერთი დებუტატების სიტყვა.

**დებ. მდ. გრაფცოვი.** ჩემის აზრით ამ კრების მოწვევის მიზეზი არის სექტანტების საქმეზედ მოლაპარაკება და მსჯელობა. მაშასადამე ჩვენ უნდა ავირჩიოთ თავსმჯდომარედ დეკ. ალ. იუნიცკი, რადგან იმ ადგილს, სადაც იგი მსახურებს, ე. ი. ბაქოში, აუთრებელი მწვალლები არიან.

**დებ. მ. კომაჩი.** მე საუმჯობესოდ მიმანია მ. ბლალოჩინის ლოგინოვიჩის არჩევა თავსმჯდომარედ, რადგან ის მსახურებს ყარსის სამფლობელოში და იქ ხომ ყველაზე მეტია სექტანტები.

**დებ. დეკ. გ. გამბაძოვი.** მე საუმჯობესოდ მიმანია, რომ თავსმჯდომარედ ავირჩიოთ მ. დეკ. ე.



ელივეი, რადგან იგი თფილისში მსახურებს, კათედრის დეკანოზიც არის, კანტორის წევრიც და ყველაფერი აქაური ამბავი უკეთ იცის.

**დეკ. დ. დამბაშაძე.** მე სწორედ მაკვირებს ზოგიერთი დებუტატების სურვილი და სიტყვა. რომელ წესდებაში სწერია, რომ კრების თავსმჯდომარედ არჩეულ იყოს, მანც და მანც, ის მღვდელი, რომლის ახლოსაც ბევრი სექტანტები სცხოვრებენ? ნუ თუ წესდებაში ცხადია არ არის გარკვეული, თუ ვინ უნდა აღიჩინოს კრებამ თავსმჯდომარედ? აქნაბმლისინ იმას გვაყვედრიდენ, რომ მაღალი სწავლის მიმღები არაეინ მოიძებნებაო. ესლა ხომ არიან, მაღლობა ღმერთს, და ვინც სურს კრებას თავსმჯდომარედ, ამას კენჭის ყრა აღმოაჩენს. თავსმჯდომარის ერთხმად არჩევა, როდესაც ბევრი კანდიდატებია ამ ადგილზე, უკანონოდ ჩაითვლება...

თავსმჯდომარის თანამდებობის კანდიდატებად კრებამ აღნიშნა: დეკანოზები გრიგორი გამბაროვი, ალექსანდრე იუნიცი, ბაქოს სობოროს წინამძღვარი, დეკ. ე. ელივეი, მღვდელი: კალისტრატე ცინცაძე, ტყემალაძე და ვ. ლოგინოვიჩი. ამ კანდიდატებს ჩამოუტარეს კენჭი. დეკ. გამბაროვი და იუნიცი უმეტესობამ გააშევა. უმეტესი ხმა მიიღო მღვდელმა კალისტრატე ცინცაძემ. დანარჩენმა კანდიდატებმა უარი განაცხადეს კენჭის ყრაზე, რადგან დაინახეს, რომ მ. ცინცაძეს უმეტესი ხმა ამოუვიდა. ამ დღეს მარტო თავსმჯდომარის ამორჩევით გათავდა კრება. თავსმჯდომარედ დამტკიცებულ იქმნა მამა კალისტ. ცინცაძე, დიდუბის ტაძრის წინამძღვარი.

9 ოქტომბერს, დილის 8 საათზე, თავსმჯდომარემ გახსნა კრება. პირველი კითხვა, რომელიც კრებას მიეცა განსახილველად, შეეხებოდა, თუ რა საშუალება და ღონისძიება უნდა იხმაროს სამღვდლოებამ, რომ ხალხი მაჩვიოს ტაძრებში სიარულს და როგორ ასწავლოს მას მოკლე ლოცვები და ქრისტეს სარწმუნოების დასაწყისი მცნებები. ამ კითხვის განხილვის დროს მ. დებუტატებმა ბევრი სხვა

და სხვა აზრი და დავიერება წარმოსთქვეს ამ საგნის შესახებ. მოკყავს აქ ზოგიერთი დებუტატების აზრი.

**დეკ. ბეგაევა.** ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა ვასწავლოთ ხალხს სარწმუნოება და ქრისტიანული კეთილ-ზნეობა, შეაყვაროთ მათ ტაძრებში სიარული ღვთის-მსახურების მოსასმენად და სხვა, მაგრამ როგორ მოვახერხოთ ყოველივე ეს, როცა კვირა-უქმ დღეებში ჩვენი ხალხი სრულებით ტაძრებში არ დაიარება, ნაცუვალ ამისა ამ დღეებში გართულია ამაო წუთის სოფლის სხვა და სხვა საქმეებით და ან შეექცევა სხვა და სხვა მანებელ დროების ტარებას. ამ დღეს ზოგი მიღის სასოფლო კრებაზე, ზოგი რომელიმე «ჩინოვნიკთან», ზოგი დუქანში და ზოგიც წინა დღით დაწყებული საქმის მოსათავებლად. მოსხვით ყოველივე ეს დაბრკოლება, დაიხსენით ხალხი ყოველივე ამ შინაგან და გარეგან მაკლურებათაგან, და მაშინ მხოლოდ შეიძლებენ ეკლესიის მწყემსნი თავიანთი მოვალეობის აღსრულებას. მაშინ მათ ეყოლებათ მამენელნი ტაძარში და იმედიც არის, რომ მათი სწავლა-მოდღერება უსარგებლოდ არ დარჩება მამენელთათვის. მაგრამ ამ შემთხვევაში, სამწუხაროდ, სულიერს მწყემსს არაფერი არ შეუძლია, თუ მას არ დაეხმარენ ისინი, რომელნიც აღჭურვილნი არიან უფლებით და რომელნიც აგრეთვე ვალდებულნი არიან იზრუნონ ხალხის კეთილ-დღეობაზედ. დაკეტეთ კვირა-უქმ დღეებში სამიკიტნოები, აღკრძალეთ ამ დღეებში სასოფლო კრებები, ნებას ნუაეის მისცემენ, რომ ამ დღეებში ხალხი მოაციონონ ტაძრებში სიარულს, აღკრძალონ ყოველივე მუშაობა უქმე დღეებში—და მხოლოდ მაშინ დაგვიჩანონ, რომ ხალხმა ტაძრებში არ იაროს ღვთის-მსახურების მოსასმენად, და თუ ვერ ვასწავლოთ მათ ლოცვები, სარწმუნოება და კეთილ-ზნეობა.

**დეკ. მდ. პოლავეკტ კაბუჯაგია.** ასე ადვილი აღსასრულებელი არ არის ყოველივე ეს. ყოველნი აღმსარებელნი სარგებლობენ სარწმუნოების საქმეში



თავისუფლებით და ნუ თუ ამ თავისუფლების წინა-  
 აღმდგე არ იქნება, თუ ჩვენ, მაგალითად, ებრაელთ  
 ანუ მოსლემანთ ძალას დაეატანთ ილღესასწაულონ  
 ჩვენი კვირა-უქმი ღღებები და უსაქმოდ იჯდნენ ამ  
 ღღებებში, და ეს ასეც მოხდება, თუ ჩვენ მოვითხოვთ,  
 რომ კვირა-უქმ ღღებებში არავინ გაბედოს ვაჭრობა.  
 გარდა ამისა ჩვენი გღებები თუ ხანდისხან კვირა-უქმ  
 ღღებებში მუშაობენ, ამას სხადიან ისინი საჭიროებისა  
 და სიღარიბისა გამო; ისინი იმღენად დატვირთულნი  
 არიან ცხოვრების მოთხოვნილებით და სხვა გარეშე  
 გარდასახადებით, რომ მათ თავიანთი საკუთარი საქ-  
 მების გასაკეთებლად მარტო კვირა-ღღესასწაული  
 ღღებები რჩებათ. მაგრამ რა ექნათ, ხალხი რა გასამ-  
 ტყუნარია, როცა ჩვენი ცხოვრება ისე რთულია,  
 რომ უბრალო ხალხს სხვა სახსარი არა მოეძებნებ-  
 რა. ვინ არ იცის, რომ ღამე კაცს აქვს მინიჭებული  
 მოსვენებისათვის, — მაგრამ გღებები, საჭიროებისა  
 გამო, მთელს ღამეს მუშაობენ და ერთ წუთას მოს-  
 ევენება არა აქვსთ; ვის არ უნახავს, რომ გღებები  
 მთავარიან ღამეებში გათენებაშდის მუშაობენ.

**დეკ. დავით დამბაშიძე.** თავსმჯღომარეს ესთხოვ,  
 მომკეს ორიოდ სიტყვის თქმის ნება.

**თავსმჯღომარე.** გუშინ მე მოგვეცით ნება სიტყვის  
 თქმისა, მაგრამ კრების შემდეგ ორმა დღეუტატმა  
 განაცხადა ჩემთან, რომ თქვენ სიტყვის თქმის ნება  
 არ მოგვეცეს, რადგან სხვა ეპარქიას ეკუთვნით. მე  
 არ შემძლია, კრების ნება-დაურთველად მოგვეთ  
 სიტყვის თქმის ნება.

**დეკ. დ. დამბაშიძე.** კრების უნებურად მე არც  
 გუშინ მიტყვეანს სიტყვა და, რასაკვირველია, არც  
 ღღეს ვიტყვი. მე არა ვარ ერის კაცი; მე ვარ თქვენი  
 თანამომე, თქვენი თანამოაზრე, ქართველ სამღღე-  
 ლობას, სადაც უნდა იყოს იგა, ერთი და იგივე  
 საზრუნველი აქვს, თქვენი და ჩვენი გაჭირება და  
 დაღბინება ერთია. მე რა უნდა ვსთქვა ისეთი, რომ  
 თქვენი საზარალო იყოს ან საბაასო საქმისა? კრებაზე  
 ყველა სამღღელლო პირს შეუძლია დაესწროს და

წარმოსტქვას სიტყვა საბაასო საღნების შესახებ, მხო-  
 ლოდ ნება არა აქვს კენჭის ყრის და ხმის მი-  
 ცემისა.

**მნავალი დეპუტატები.** მაშა ღამბაშიძე აქ რომ  
 არ ყოფილიყო, უნდა გვეთხოვა მისთვის, უთუოდ  
 დაგვეწრებოდა ამ კრებაზე და ჩვენთან ერთად რჩე-  
 ვაში ძმური მონაწილეობა მიეღო. ბეგია ჩვენში,  
 რომელთაც ის გამოცდილება არა აქვს, რომელსაც  
 ჩვენ მასში ვხედავთ. ვინ ბრძანდებით მისი სიტყვის  
 და მისი აქ დასწრების წინააღმღღენი, გამობრძანდით  
 და სთქვით? ვინ არიან ესენი, რომ ჩვენ ერთმანერთს  
 გვაშორებენ?..

**თავსმჯღომარე.** მომეცით ნება, რომ შევიტყო  
 კრების აზრი: თანახმა არის კრება, რომ ჩვენ წინ-და  
 წინ სალაპარაკო და საქამათო საქმეებში მიიღოს  
 დეკ. ღამბაშიძემ მონაწილეობა, თუ არა. ესთხოვ  
 ყველა დღეუტატებს, ვისაც სურს, რომ დეკ. ღამბა-  
 შიძემ მიიღოს მონაწილეობა ჩვენს საბაასო და საკა-  
 მათო კითხვებზე, ზეზე აღდგეს, და ვისაც არა სურს,  
 ნუ აღღება.

გათავა თუ არა თავსმჯღომარემ ეს სიტყვა,  
 ერთბაშად აღგა ყველა დღეუტატები ზეზე, გარდა  
 დღეუტატო დეკ. იურიციკისა და ერთი თფალისის დე-  
 კანოზისა...

**დეკ. დავით დამბაშიძე.** სარწმუნოების საქმეში  
 თავისუფლება, ჩემის აზრით და თქვენც კარგად მო-  
 გეხსენებათ ეს, მ. მ. დღეუტატნო, უფრო გავრცელებ-  
 ბულია დასავლეთ ევროპაში, ინგლისში, გერმანიაში  
 და სხვა სახელმწიფოებში, მაგრამ ვერ წარმოიდგენთ,  
 რა წმინდათ ინახვენ იქ კვირა ღღებებს. იქ, როგორც  
 ამბობენ, არამც თუ მუშაობა არ შეიძლება კვირა  
 ღღებებში, პურის ყიდვის ნებაც კი არავისა აქვს  
 კვირა ღღეს. მაგრამ ასე წმიდათ კვირა ღღებების შე-  
 ნახვა იქ არავის არ აღარიბებს. რაც შეეხება ჩვენი  
 გღებების მუშაობას ღამით, ვითომც ამას მოითხოვ-  
 დეს მათგან სიღარიბე და საჭიროება, მე პირდაპირ



ვაცხადებ, რომ გლეხებისაგან ღამით მუშაობა სრულებით სიღარიბისა და სხვა შემთავიწროებელ მიზეზთაგან არ არის გამოწვეული. ყველამ უწის, რომ ჩვენი გლეხები ბატონ-ყმობას დროს უფრო ღარიბი და შევიწროებულნი იყვნენ და ღამითაც ხშირად მუშაობდნენ, მაგრამ მაშინ უფრო ხშირად დადიოდნენ ღეთის-მსახურების მოსასმენად. მაშასადამე ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი სულ სხვა არის და არა ჩვენი გლეხის სიღარიბე და შევიწროებული მდგომარეობა.

შემდეგ დიდი ხნის ბაასისა და აღნიშნული კითხვის ყოელის მხრით გამოკვლევისა, კრებამ ერთხმად დაადგინა: აუცილებელ მოვალეობად დავდგინოს სამღვდელეობას, რომ მან ყოველივე ღონისძიებით ასწავლოს სამწყსოს მოკლე ლოცვები და ქრისტეს სარწმუნოების დასაწყისი მცნებები და შეძლებისამებრ სძლიოს ყოველივე დაბრკოლებას, რომელიც კი წინ დაუხვდება სამღვდელეობას ამ საქმეში. ხშირი და ღეთის-სასიამოვნო მსახურებით, საღმრთო და საეკლესიო წიგნების გასაგები კითხვით და გალობით შეაყვაროს სამწყსოს ტაძარნი სიარული.

მეორე კითხვა, რომლის განხილვასაც შეუდგა კრება, შეეხებოდა საშუალებათა გამოხატვას, რათა ყოველ ეკკლესიასთან დაარსებულ იქმნეს წიგნთ-საცავები, რომლებშიაც უნდა იქნეს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსის წიგნები, რომ ამ წიგნების კითხვით ამაღლდეს და განმტკიცდეს ხალხში სარწმუნოება და კეთილ-ზნეობა. აგრეთვე სამღვდელეობას წინადადება ეძლეოდა, დაეარსებიათ ეპარქიალური და საბლალოჩინო სამაზრო წიგნთ-საცავები და საწყობები, რომლებშიაც უნდა იშოვებოდეს სარწმუნოებრივ-ზნეობრივი შინაარსის წიგნები, ხატები, ჯგერები—როგორც გასასყიდად, ისე ხალხში უფასოდ დასარიგებლად. მათი შეუფების, საქართველოს ექსარხოსის ელაღიმირის ამ წინადადებამაც დიდი ბაასი და მსჯელობა გამოიწვია დეპუტატებ შორის. ზოგი დეპუტატები აცხადებდნენ, რომ წიგნთ-საცავების ყველა ეკკლესიებთან გახსნა შეუძლებელია, რადგან ბევრგან ეკკლესიას ამ საგნისათვის ნივთიერი შეძლება არა აქვს, და მასთან არც ხალხია ჯერეთ შეჩვეული კითხვასა. ზოგნი ურჩევდნენ კრებას, პირველად დაეარსებიათ მარტო საბლალოჩინო მაზრების შუა ადგილს წიგნთ-საცავები, მაგრამ აქვე აცხადებდნენ, რომ დღეს-დღეობით ქართულს ენაზე არ იშოვება გასაგები ენით შედგენილი წიგნები ხალ-

ხის საკითხავადო. ზოგნიც ურჩევდნენ კრებას, დაეარსებიათ მარტო ერთი ეპარქიალური წიგნთ-საცავი საკათედრო ტაძართან, საიდგანაც ყოველ მღვდელს შეეძლოს წიგნების წაღება და წაკითხვა. მაგრამ ბევრი ამის წინააღმდეგი იყო და აცხადებდნენ, რომ საკათედრო ტაძრის სიშორისა ვაშო ამ წიგნთ-საცავილამ ვერას ისარგებლებს უმეტესი ნაწილი ჩვენი სამღვდელეობისა. მოგვეყვს აქ ზოგიერთი დეპუტატების აზრი ამ საგნის შესახებ.

დებ. მ. ჯაჭანიძე. მე ძლიერ სასარგებლოდ მიმაჩნია თითოეულ ეკკლესიასთან წიგნთ-საცავების დაარსება; ეს წიგნთ-საცავები დიდ სარგებლობას მოუტანენ როგორც სამრევლოებს, ისე თვით ეკკლესიების კრებულთ, რომელნიც ვერ შოობენ ხეირიან საკითხავ წიგნებს, რაისა გამო ზოგნი მწყემსნი უკან ჩამორჩენიან გონებით თავიანთ სამრევლოებს და ამიტომაც ჯეროვანად ვერ ასრულებენ თავიანთ დიდ მოვალეობას. მაგრამ სად არის საშუალება ამ ყოელად სასარგებლო საქმის განსახორციელებლად? შეიძლებოდა ამ საგნისათვის ფული გვესესხნა უფრო შეძლებული ეკკლესიებიდან, მაგრამ, ვაი თუ, ამ გზით შეძლებული ეკკლესიებიც დავაღარიბოთ. უკეთესი იქნება, ჩემის აზრით, დაეარსოთ წიგნთ-საცავები მარტო საბლალოჩინო მაზრებში და აქედგან წაიღონ ხოლმე წიგნები ამ საბლალოჩინო მაზრის ეკკლესიების კრებულთა, იმ პირობით კი, რომ თითოეული ეკკლესიის კრებულმა შეიტანოს საბლალოჩინო მაზრის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ ყოველ წლობით 2 მ.; თუმცა ესეთი შეწირულება ძლიერ მცირე იქნება, მაგრამ თავის დროზე ამ საშუალებით კარგი წიგნთ-საცავის დაარსება შეგვეძლებება. მხოლოდ საქირაა მოენახოთ საქირა წიგნები ამისთანა წიგნთ-საცავებისათვის. მე, ჩემის მხრით, ჯერჯერობით ურჩევ კრებას ამ წიგნთ-საცავებისათვის მოიპოვოს მ. დევ. დ. ღამბაშიძის გამოცემანი და სხვა ამგვარივე წიგნები რუსულს ენაზე. იმედია, სხვა წიგნებიც გამოჩნდება, როცა წიგნების გამოცემელნი დაინახვენ, რომ მათ გამოცემათ გასაყიდი ექნება.

(შემდეგ იქნება).



### წერილი ახალ-სენაკიდან.

1884 წლიდან უმაღლესმა სასულიერო მთავრობამ დაადგინა ეკლესიებთან საეკლესიო სკოლების დაარსება. ამ კეთილი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად უწ. სინოდმა გადასდვა რამდენიმე ათასი თუმანი ღმ დაამზადა რამდენიმე ათი-ათასი ცადი სხვა-და-სხვა სახელმძღვანელო წიგნები, რომ შემწეობა აღმოეჩინა ზემო აღნიშნული სკოლებისათვის, როგორც ფულით, ისე წიგნებით ღმ სხვა-და-სხვა სასწავლო ნივთებით. ამას გარდა ამგვარ სკოლებში კეთილ მოღვაწეთ ღმ მასწავლებელთ უწმ. სინოდი ჰპირდებოდა ელოცვა-გურთხევით, მადლობით ღმ ორდენით დაჯილდოებასაც 12 წლის უანგარო სამსახურისათვის. ამ ორი წლის წინად რამდენიმე მოწერილობა მოუვიდათ გუბერნატორებს ღმ მაზრის უფროსებს, რომ მათთაც საეკლესიო-სამრევლო სკოლებისათვის უოველგვარი შემწეობა აღმოეჩინათ თავიანთის მხრით. მთავრობის სურვილი იყო ღმ არის, რომ სამრევლო სკოლები უოფილიუვნენ ღმ არიან კიდევ უველა სკოლებზედ უმეტესად გავრცელებულნი, უველასათვის ხელმისაწვდომი და ღარიბთათვის ფრთად სასარგებლონი. დამატუძნებელნი და მმართველნი ამ სკოლებისა უნდა უოფილიუვნენ და არიან კიდევ უველგან მღვდლები ღმ მეღვითენი ადგილობრივი ეკლესიისანი. ეს პირნი ასწავლიან ამ სკოლებში ანუ სულ უფასოდ ღმ ანუ მცირე საფასურით. ბავშვის პატრონები იხდიან თთვეში ორ აბაზს, ათ შაურს და ზოგან 1 მან. მაგრამ რას ვხედავთ დღეს ჩვენ ახალ-სენაკში? აქ დაარსდა სამრევლო სკოლა, რომელშიაც ახდევინებენ სწავლის ფასს თვითოეულ მოსწავლეს წელიწადში სამ თუმანს. ჯერ საჭიროა შევიტყოთ, თუ ვისთვის არის ეს სასწავლებელი საჭირო? საირო უმაწვილებისათვის

თუ სამღვდლოთათვის? უველამ ვიცით, რომ სწავლა დაუფასებელი განძია და არასოდეს იგი კაცს არ მოსჭარბდება; მაგრამ ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად აქ, ახალ-სენაკში, პირველ-დაწყებითი სასწავლებელი უკვე არსებობს ვაჟებისათვის. ერთი სამოქალაქო, რომელშიაც წელიწადის სწავლის ფასი ხუთი მანეთია, და მეორე მოსამზადებელი კლასები სასულიერო სასწავლებლისა, რომელშიაც სასულიერო წოდების შვილები არც ერთ გროშს არ იხდიან, რადგან იმათი მამები, თუნდა მიიბარონ იქ თავიანთი შვილები, თუნდა არა, მაინც იხდიან სასწავლებლის შესანახავ ხარჯს. მამ რაღა საჭიროა ეს სამრევლო სკოლა? ვის უნდა აღმოუჩინოს მან შემწეობა? სამოქალაქო სკოლაში წელიწადში 5 მანეთია სწავლის ფასი და სასულიერო სასწავლებელში კი არც ერთი კაპიკი სასულიერო წოდების პირთათვის. ამ სამრევლო სკოლაში კი სამი თუმანია სასწავლო ფული. მაგრამ ამ ახლად დაარსებულ სკოლას ბევრნი ეტანებიან ღმ მიერეკებიან იქ თავიანთ ნორჩ შვილებს. აქ უთუოდ სხვა ანგარიში უნდა ჰქონდეთ ბავშვების მიმუყანთაც და ამუყანთაც. სწორედ ამ ანგარიშის მიხედვითაც გამოიგონეს ამ სკოლის დამაარსებლებმა ესეთი სამრევლო სკოლა. აქ ხომ უიმისოდაც არის ერთი სამოქალაქო ორკლასიანი სკოლა და ერთი სასულიერო ოთხკლასიანი სასწავლებელი. აი სწორედ ეს უკანასკნელი ოთხკლასიანი სასულიერო სასწავლებელი არის მიზეზი კიდევ ამ მესამე პირველ-დაწყებითი სკოლის დაარსებისა. უველასა სურს შვილის აღზრდა უმეტესად სასულიერო სასწავლებელში, რომელიც აქაურებისათვის აკადემიაც არის ღმ უნივერსიტეტიც. უოველწლობით სასულიერო სასწავლებელში შემსვლილნი ბევრნი არიან, მაგრამ უადგილობისა გამო ბევრი მთხოვნელი რჩება მიუღებელი. აი სწორედ ამათთვის დაარსეს ეს სამრევლო სკოლა.



ლა. ამ სკოლის დაარსების საქმეში ჩვენ ვამჩნევთ ერთ ცუდ მხარეს, რომელზედაც აქ გვინდა ვსთქვათ ორიოდ სიტყვა.

დამფუძნებელი ამ სამრევლო სკოლისა არიან სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი და, რასაკვირველია, ეგზამენების დროს უოველ დონისძიებას ხმარობენ, რომ იმათი მომზადებული მოწაფეები მიღებულ იქნენ სასულიერო სასწავლებელში, და ამ მომზადებულ მოწაფეებზედგან მხოლოდ იმათ მიღებას მოიწადინებენ და ეცდებიან, რომელთაგან მეტი გასამრჯელო ექნებათ ადებუდი, გარდა წლიური სამი თუმნისა. ამ სამრევლო სკოლის მმართველი არიან სასულიერო სასწავლებლის, ეგრედ წოდებულნი, «თავი და თავი ეგზამენატორებიც». თუმცა ეს «ეგზამენატორები» «დუდი-დუდი ეგზამენატორები» არიან, როგორც ამათ აქ აქებენ და აღამაღლებენ, მაგრამ მაინცა და მაინც ჩვენ სადმერთო მოვალეობად ვრაცხთ ვაფრთხილოთ ბავშვების პატრონი, რომ იგინი შემდეგში პირჩაღა-გამოვლებულ-მოტუებულნი არ დარჩნენ. ვაფრთხილებთ ჯერეთ სასულიერო პირთა იმ მოსაზრებით, რომ ამნაირი მოსამზადებელი კლასები უკვე აქვთ იმათ საკუთარი და რაღათუნდა გადინადონ კიდევ სხვაგან სამი თუმანი? როგორც სხვა სასულიერო სასწავლებელში, აქაც სამი მოსამზადებელი კლასია. სხვა სასწავლებლებში პირველ განყოფილებაში იღებენ ყმაწვილებს უეგზამენოდ—აქაც ასე უნდა იყვას და თუმცა აქ ეგზამენს აჭერინებენ, მაინც ბევრად უადვილესია ბავშვის მიღებინება პირველ განყოფილებაში, ვიდრე მეორეში და მესამეში. მამ რაღათ უნდათ მდვდლებს ახალ-სენაკში თავიანთთვის სხვა სამრევლო სკოლა? რომ კარგად იციან მათ გამოცდილებით, რომ იმათ შვილებს სასწავლებლის კარი ეკეტებათ ხოლმე, თუ სწავლის ვადა დაუკარგეს სხვაგან სწავლებით და თავის დროზედ ვერ მოასწრეს პირ-

ველ განყოფილებაში ბავშვის მიღებინება, რადგან არც მეორე განყოფილებაში, არც მესამეში, არც პირველ ნორმალურ კლასში ჭარც მეორეში თავისუფალი კაქანსა აღარ არის ხოლმე. ვაფრთხილებთ აგრეთვე ერის-კაცთაც, რომ მათ ტუკვილ უბრალოთ ხარჯი არ გასწიონ... ამისთანა სკოლის დაარსება ეწინააღმდეგება უწმ. სინოდის კეთილ განზრახვათა და მოსაზრებათა. ერის-კაცთა შვილების მიღება სასულიერო სასწავლებელში, გარდა პირველ მოსამზადებელი კლასისა, უოველთვის საძნელო ყოფილა უადგილობისა გამო და იქნება კიდევ. თუმცა შეიძლება, ერთი ორი მათგანი მიეწიოს თავის გულის წადილს დიდის ვაი-ვაგლახით ჭესაწინაგვის გამეტებით, მაგრამ ამის ნაცვლად ოცი და ორმოცი უოველ წილობით დაჩრება ატირებული და მოტუებული.

ამავე სამრევლო სკოლასთან, როგორც დაბეჭდილ განცხადებაში უწერიათ მის დამარსებელთა, სარეპეტიციო კურსებიც განლავთ სასულიერო სასწავლებლის მადალ კლასებში მოსამზადებლად. ჩვენ ვიცით მაგალითები, რომ ამისთანა ბავშვებისაგან თხოულობენ სამ თუმანს კი არა, თხუთმეტსა და ოცს თუმანსაც. წარმოიდგინეთ, ახლა რა ჩნები და დავიდარაბა და შურის ძიება უნდა გაიმართოს თვით სასულიერო სასწავლებელში ამ «ორნი არიან, ტოლნი არიან სულიერთა» და სხვა მასწავლებელთა შორის. ეს მასწავლებელი ბრძანდებიან აგრეთვე სოფლის სამრევლო სკოლების მასწავლებლების და დიაკვნების ეგზამენატორებიც. ამათგანაც რასაკვირველია სამრემელს აიღებენ.

ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენის მხრით არ ურჩიოთ ამ ბევრის მომდღმთა, რომ თავი დაანებონ იმას, რაც იმათი საქმე არ არის ჭ რაც იმათ არ შეჭოერით. სამრევლო სკოლა ეკეთვნის აქაურ ადგილობრივ მდვდელსა, ანუ სხვა კერ-



ძო რომელიცამე პირსა და კერძო მასწავლებელსა, რომელიც პირდაპირ უნდა ექვემდებარებოდეს გურია-სამეგრელოის ეპარქიის სამრევლო სკოლების საბჭოს. ამანი მასწავლებელს ყოფილა შევირდისაგან თთვეში ერთი მანეთიც, როგორც სხვა მასწავლებელთა ჰყოფიით სოფლებში. სკოლის დაარსებასა და რეპეტიციების განცხადებასთან ერთს სხვა მანქანებასაც ვხედავთ. განცხადებაში სწერია, რომ უმადლესის მთავრობის ნება-რთვით არის დაარსებული ეს ახალი სკოლაო. ეს სიცრუეა. უნდა იუვეს: ეპარქიალური მთავრობის ნება-რთვით, და მაშინაც ნება არა ქონდათ ზემოხსენებულ პირთ; მხოლოდ ეპარქიალური სკოლების საბჭოს შეეძლო გაეხსნა სამკვალითო სკოლა ეპარქიალური მთავრობის ნება-რთვით და ამოეჩინა ვინმე კერძო მასწავლებელი, რომელიც დამტკიცებულ უნდა ყოფილიყო თანამდებობაზე ეპარქიალური მთავრობისაგან. სწორედ ასეც არის ნამდვილი საქმე. მასწავლებელი ამორჩეულია და დამტკიცებულიც მთავრობისაგან. დაბეჭდილ და აქა-იქ მიკრულ განცხადებაში კი ორი «სულიერის» სახელობაზედ ჩვენ სიცრუესა ვხედავთ ანუ უკანონობას. უთუოდ საბჭოს უნდა გაეხსნა მასწავლებელი, როგორც ამგვარივე სკოლა არსებობს ტფილისის სასულიერო სემინარიაში. თუ არა და როგორ შეიძლება, რომ ეპარქიალური საბჭოს ერთმა-ორმა წევრმა გახსნას ამანი რი სამრევლო სკოლა და თვითონვე იუვენ მმართველნიც უღ «კონტროლერებიც». ეს ხომ უკანონობა იქნება და არა უზადო „დუდი-დუდი ეგზამენატორობა“. ენლავე ვაფრთხილებთ უკრჩევთ კიდეც ამ «ეგზამენატორებს», რომ დასტოვონ ზრუნვა თვისი ამ სამრევლო და საეკლესიო სკოლის შესახებ, რათა მიეცეს ეკლესიისა ეკლესიისავე, და სასულიერო მასწავლებლის მასწავლებლისა სასულიერო მასწავლებელსავე.

**პელაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ.**

(წერილი ზეჟესე).

ბავშვების ზნობრივად აღზრდისათვის ყველაზე უფრო უკეთესი საშუალება არის საღმრთო სჯული, რომლის სწავლების დროს მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახეში — აღზრდა ახალთაობისა ქრისტიანულ კეთილ ცხოვრებაში — მართლ-მადიდებელი ეკლესიის კანონთა მიხედვით. რადგანაც საღმრთო სჯულს ასეთი დიდი დანიშნულება აქვს, თითქმის, ყველა სკოლებში, აპიტომ ამ საგნის მასწავლებლები ყოველ ღონისძიებას უნდა ხმარობდნენ, რომ ყველა ხასიათი გადაცემისა, სწავლებისა მიუ-მარჯვოს ამ აღმზრდელობა-თი მიზანს.

ბავშვებისათვის ღიდალ საეჯოროტეტოა სიტყვისათვის მასწავლებლისა, რომელსაც მოწაფეები მოწიწებით უყურებენ და პატივსა სცემენ. მხოლოდ ამ გვარი მასწავლებლის ცხოველ სიტყვას შეუძლიან გაატაროს აზრი ბავშვის გულში და ეს თითქმის ყველაფერია, რის სურვილიც შეიძლება ბავშვის ზნობრივად აღზრდისათვის. სახარების სწავლა ადვილი გასაგები და დასასწავლია ყველასათვის, მაგრამ სათნოების შესწავლა მართო კატეხიზმოს ცოდნით არ შეიძლება, — ეს არის გულის და მესხიერების საქმე, რომელიც შეიძლება კეთილ საქმეში ვარჯიშობით. ზნობრივად აღზრდილ კაცს ღეთის-მეტყველების ცოდნით მართო კი არ აფასებენ, არამედ იმით, თუ თავის შეძენილ ცოდნას როგორ ხმარობს ცხოვრებაში, სადაც ხშირად ისეთ პირებსაც შეხვდებით, რომლებიც მჭევრმეტყველოურად სჯიან, ლაპარაკობენ ზნობრივ ჭეშმარიტებაზე, მაგრამ ამათ ამგვარი ჭეშმარიტებით არაოდეს არ უხელმძღვანელებიათ. აქ ის იძენს მხოლოდ ფარისევლოურ გამოცდილებას — როგორ გაიწყოს საქმე ხალხის თვალში გარეგან ღეთის პატივისცემით. რასაკვირველია ყველა ამგვარი მაგალითები უხეროდ აღზრდის და თავიღვანვე გარემოცულ ცუდ პირობების მიზნია.



დიდი მნიშვნელობა აქვს პირველ შთაბეჭდილებას ბავშვის ზნეობრივ აღზრდაზე. ნამდვილი ქრისტიანული ოჯახი არის პირველი ეკლესია, პირველი წმიდათა, სადაც ბავშვის გულში გაიღვიძებს ბუნების მიერ ჩანერგული დასაწყისი სარწმუნოებისა. ბავშვებს, აღზრდილთ გონიერს და ნამდვილ ქრისტიანულ ოჯახში, სკოლაში მიბარებამდისაც აქვთ ზოგიერთი სწორი წარმოდგენა ღმერთზე და მის თვისებებზე. ჭკუით და ხნით მოწიფულ კაცს ხშირად, რომელიმე საგანზე ფიქრის გამო, გრძობა აენტება, რომელიც თანდათან ცხოველდება და უერთდება კაცობრიობის ცხოვრების შემთხვევებს და ბუნების გამოხატულებათა. ბავშვის ცხოვრებას რომ დავუკვირდეთ, ადვილათ მივხვდებით, რომ ის ცხოვრობს დამოუკიდებელ შთაბეჭდილებებით, ის გრძობს, რაც მას ემართება და სხვებსაც, ვინც და რაც მას ახლო-მახლო გარს არტყია—აეხსნათ ეს მაგალითით. ესთქვათ ბავშვი უჭირავს ხელში თავის დედას, რომელიც ეალერსება მას, ელაზარაკება ტკბილ სიტყვებს, რომლიდანაც ბავშვს ესმის მხოლოდ სიყვარულის ხმები, იმას ეალერსება მამა, ძმები, დები და სხ. ბავშვის გარშემო არ იბრძვიან, არ ილანძღვიან, არ სცემენ ერთმანეთს—ეს იქნება სარწმუნო, ცხოველი გაკვეთილი ზნეობრივი სწავლისა. ამნაირად ბავშვის სულშიდაც აღორძინდება გრძობა ალერსიანობისა, მშვიდობიანობისა, სიყვარულისა. აი ბავშვიც ცოტათი წამოიზარდა, დაიწყო რალაცების გავება, იცის, რა არის ტყვილი, სიცოცხე, სუფთა და ტალახიანი ტანი-სამოსი, ლამაზი კობტად მორთული სახლი და ღარიბად მოწყობილი კოხი; ხედავს ეს ბავშვი, რომ უფროსები როგორ ეალერსებიან—ძალს, ცხენს, ძროხას, ეცოდებათ ისინი, როცა დაჭრილი არიან, ცდილობენ მათ მორჩენას, თავის ხელით ჰკვებებენ ცხოველებს, ასწორებენ დანგრეულ, დაფუშულ ჩიტების ბუდეებს, იფარებენ მათ მტაცებელი ფრინველებისაგან; აიყვანენ პატარა და უძლურ ბარტყს, რომელსაც დედა სადღაც დაჰკარგვია, დაღუპვია, გამოაკვებენ მას და თანაგრძობით და სიამოვნებით

უყურებენ, როცა ის აფრინდება და გასწევს ტყის ანუ მინდერისაკენ.

ბავშვი ჰხედავს, რომ შებრალებით ეპყრობიან უფროსები ღარიბ-ღატაკ მოხუცს, ობოლს, მცირე წლოვანს მშვიერ ბავშვს აძლევენ საქმელს, საცმელს, ანუ გვეზებენ მას. დედა მიდის უმწეოდ დატოვებულ ღარიბ ავამყოფთან და თან მიჰყავს თავის შვილიც, მიაქვს წამალი, არიგებს ავამყოფს, თუ როგორ უნდა იხმაროს წამალი, თვითონაც მოჰბანს და შეუხვევს იარებს, თანაგრძობით და ალერსით ამშვიდებს და ანუ გვეზებს მათ. რასაკვირველია ამნაირი გავლენით ბავშვი განიღვიძებს და გაძლიერდება ლობობიერება, გულის შეტყიება, შებრალება მაშერალთა და ტვირთ-მძიმეთადმი.

ბავშვი ყოველ დღე ხედავს, რომ დედა ვილაც ევედრება, ლოცულობს; ბავშვს ესმის ლოცვის სიტყვები და ზოგს თვითონაც ტიტყვებს; მას არ ესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ იმ ხმებში, პირის სახის კეთილ-კრძალულების გამოხატულებით, მშვიდი სინათლით გაბრწყინებულ თვალებში, ისა გრძობს, რომ ეს ვილაც, ვისაც დედა ლოცულობს ყოველ დღე, უნდა იყოს კეთილი, ალერსიანი, ისეთი მოსიყვარულე, როგორც დედა, მოხუცებულთა, ობოლთა და ავადმყოფთა შემბრალებელი, დედის გრძობით ლოცვა გადაიქცა ბავშვის ლოცვად, ის უკვე თავანსა სცემს უცნობს, მიუთხრობელ ღმერთს.

დ. ბაგვაძე.

(დასასრული შემდგ №-ში)



**წერილი რედაქციის მიმართ.**

ვინ არ იცის, რომ დღეს ჩვენში საღვთის-მეტყველო და საეკლესიო ლიტერატურა ძრიელ ღარიბია. ისიც ყველამ იცის, რომ თუ-კი რამე მოგვენახება დღეს ამგვარი ლიტერატურისა, ისევე ძველი



დროიდგან დაწერილი და გადმოთარგმნილი, რაც ყველასათვის ხელ-მიუწოდებელია. ახალი კი არა შეგვიძინია და შეგვიმატნია. განმარტებანი და სახელმძღვანელონი, რომელნიც დღევანდელ გარემოებათა წყალობით ასე საჭიროა გამოუცდელ მღვდელთათვის, ხომ ძალიან იშვიათია და ის არის. ამიტომ ყოველი განათლებული მღვდელი დიდს სიხარულით ეტანება ყოველგვარ სასულიერო შინაარსის წიგნს, რომ ეტანება რაიმე სასარგებლო და ცხოვრებასა და სამახურში გამოსადეგი ცოდნა შევიძინოვო. მაგრამ ამაოდ. ზოგიერთი სახელმძღვანელო წიგნები არა თუ არ ენმარებიან მღვდელს, პირიქით გზას უბნევენ კიდევ. ამის დასამტკიცებლად ერთს მაგალითს მოვიყვან.

მოგვხსენებთ, რომ ამას წინად ერთმა პატივცემულმა პირმა ქართულს ენაზე დაბეჭდა ადგილის გასაგები ენით «შემოკლებული საეკლესიო ტიბიკონი», რომელიც დიდი განძია ჩვენს ღარიბ საეკლესიო მწერლობაში. ეს წიგნი დიდი შედეგითაა ტიბიკონში გაუვარჯიშებელ ახლანდელ მღვდელთათვის. მაგრამ ზოგიერთი ადგილები მაინც გაუგებარია. მაგ., როცა ავტორი სიწმიდის განახლების წირვის შესახებ ლაპარაკობს, სხვათა შორის, ავბობს, რომ სახარება და სამოციქულო წაიკითხება მხოლოდ შემდეგ დღეებში: ორმოცთა მოწამეთა მოხსენების დღეს, იოანე ნათლის-მცემლის თავის პოვნის დღეს და როცა მღვდელს ნებას მიცვალებულისათვის წირავა. მარხვანში კი ასე ეკითხულობთ: „უკეთუ ძმათა ჩვენთაგანი ეინმე განვიდეს უფლისა მიმართ წმიდათა ამათ დღეთა შინა (ე. ი. დიდმარხვის განმავლობაში), საშუალ შეიღვეულთა არა ეყოფთ ანდერძის აღგებასა მისსა, ვიდრე მწუხრადჲე პარასკევისა, რამეთუ მაშინ აღესრულების პანაშვიდი მისი; მაგავსადვე შაბათსა ლიტურდაცა მისთვის... ხოლო მსხვერპლის შეწირვა და მოხსენება მისი დაიწყების ახალ კვირაკიდგან, ვიდრე შესრულებადმდე დღისა ორმოცისა» (იხილე ტრიოდონი, გამოც. მოსკოვში 1849 წ. გვერდი 88). ახლა რომელ ერთს დაუჯეროს სოფლის გამოუცდელმა მღვდელმა: საყოველთაო პრაქტიკასა და «შემოკლებულ ტიბიკონს», თუ მარხვანს?

ჩვენ გვესმის და ვიცით, რომ საეკლესიო პრაქტიკასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სხვა-და-სხვა საეკლესიო კითხვების განმარტების დროს, მაგრამ ამ შემთხვევაში კი ვერა გაგვიგია-რა. ტრიოდონის მიხედვით თუ არც მსხვერპლის შეწირვა და არც მოხსენება არ შეიძლება მიცვალებულისა შეიღვეულ დღეებში, სწორედ იმ დღეებში, როცა პირველ შეწირული უნდა შესრულდეს დიდ-მარხვის განმავლობაში, მაშ რაში მდგომარეობს მიცვალებულისათვის წირვა, რომლის შესრულების ნებას «შემოკლებული ტიბიკონი» იძლევა? ნუ თუ მარტო სახარებისა და სამოციქულოს წაკითხვა მიცვალებულისათვის წირვად ჩაითვლება? ერთი სიტყვით, ამ საეკლესიო კითხვის შესახებ არც საეკლესიო პრაქტიკა და არც შემოხსენებული «შემოკლებული ტიბიკონი» საკმაო პასუხს არ იძლევიან და ამიტომ უპორობილესად გთხოვთ განმარტოთ ეს კითხვა თქვენს პატივცემულ ჟურნალ „მწყემსში“ საყოველთაო საცნობლად, რომ ყველა ერთს წესს ადგეს, თორემ დღეს სოფლებში ბაბილონის ენათა აღრევასაგით რამდენი მღვდელია, იმდენი საკუთარი ტიბიკონი აქვთ. ერთი მღვდელი რომ უარს ეუბნება მიცვალებულის პატრონს პირველ შეწირულთა მიცვალებულისათვის ვერ ესწირავო, მეორე კიდევ სწირავს, ნაწილსაც იღებს ტარიგდგან, რაც ჩვენის აზრით შეუძლებელია, თუ ოქროპირის წირვის წესს გავიხსენებთ, და კიდევ იხსენიებს. ეს ხომ რანაირად იმოქმედებს მრევლის შეხედულობაზე, ყველას წარმოადგენილი ექნება.

Tanius.

P. S. ამასთანავე გთხოვთ აგვიხსნათ, რომელი «ძმანი» იგულისხმებიან შემოყვანილ სიტყვებში: სამღვდელთა და სამონაზვნო პირნი, თუ ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანი, რადგან საეკლესიო წიგნები ხშირად ბერ-მონაზვნებს იხსენიებენ ამ სიტყვებით?\*)

\*) ველით პასუხს „მოკლე ტიბიკონის“ შემდგენელისაგან. რედ.



### განსაცხადი შემთხვევა.

სოფ. წევას მცხოვრებელ გლეხს ალექსანდრე მუმი-  
ლაძეს გაუხდა ავით ათის წლის ქალი ერთი რაღაც  
უცნაური სნეულებით.

უცნაურ ქალს მუცელი ასტვივდა, ენა ჩაუვარდა, გმინო-  
ბა დაეკარგა და ხელ-ფეხები გაუშეშდა და დაეკრინა. მი-  
შინათუვე მოვიდნენ და მთხროვეს მეზიანებას ავად-მყოფო.  
მე დაუფიქრებელივ ავლასრულე მათი თხრობა. მივედი და  
ენახე ბავშვი იმ პდგომარებაში, როგორც ზეითა  
კსოქევი. ავად-მყოფის გაუშინჭე სიციხე სიციხის საზომით  
და აღმოჩნდა, რომ ამ სულმობრძვის ავით-მყოფის სიციხე  
თითქმის ტანთელისა ქონდა—სულ 370. ბავშვი ვუკა-  
ფიქს ვერ აღმაჩაკობდა. გბილვი მივრული ჰქონდა,  
მსოფლად ცხვირით ზუზუნებდა.

შემდეგამ ამისა, რასაკვირველია, როგორც იციან  
სოფელში, მიმართეს სოფლის ექიმებს, მაგრამ  
ექიმმა მას ვერა გაუგო რა და ტუფილათ ნიჩიტ  
ვერავინ უჭიდა ავითმყოფს. ასე ატარეს ავით-მყოფი  
უჩემით სოფელ-სოფელ მთელი ორი კვირა, და ბოლოს,  
ათს ამა ივნისს ჩაიუვანეს ქ. ქუთაისში და მიიუვანეს  
სამკურნალოში. ვინაიდან უჩემადამ ამოუვანა და შეეგნა  
ავით-მყოფისა სამკურნალო და რბაზში ვერ მკურნებუ-  
ბათ გლეხებს, ამისათვის ეთხრობათ ექიმებისათვის, რომ  
ისე დაეხელათ ავად-მყოფისათვის. ეს მათი თხრობა  
შევეწინებოდათ. ექიმებს ენახათ ავით-მყოფი და ეთქვათ:  
ღამულა დატეხია და ამის მოკრინა არ შეიძლება, ისევე  
სასლში წაიუვანეთ.

რადა უნდა ექნათ იმედ დაჯანჯულ გლეხებს.  
დაბრუნდნენ სოფელში. ქუთაისიდან რომ წამოხულან,  
იმ ღამეს დაბინავებულან ერთი გლეხისას სოფ. ვარ-  
ციხეში, იქ იმ ღამეს ავად-მყოფს ბავშვს უნახავს სიზ-  
მარე. სიზმარში მისულა მასთან ერთი ცხენისანი კაცი  
და ერთი ქვეითი ქალი. ცხენისანი კაცი უნუგებებია  
თუჩემ ბავშვი და უთხრობია: „ნუ ტეშინიან, მე ვარ  
შენი მთავრული და გიშველია, მაგრამ იკითხონ მამა  
შენმა და ბიძა შენმა». შემინებულმა ბავშვმა ჰქითხ,  
თუჩემ: თქვენ ვინა ხართ? ცხენისანი უმასუნია:  
«მე ვარ წმიდა გიორგი». გამოუღვიძია ბავშვს თუ  
არა, ეს სიტყვები უთქვამს და ისევე დაიშინებულა. ამ  
სიტყვებზე ავით-მყოფის მამა დიდათ შემინებულა.  
დაუჩქინა და შევედრებია წმიდა გიორგის, რომ გა-

მოეცნადებინა მისთვის, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო,  
რომ შეიღო მოკრინადა. როგორც კი ამდგარა მამა,  
მამისათვე ავით-მყოფ ბავშვს უვირილი დაუწვია: «ლექ-  
სანდრე და სიმონა (მამა და ბიძა ავით-მყოფისა) წევას  
წმიდა გიორგის ეკვლისასვე ილოცეთ და მლოცეთო».   
სულ ამხარე უვირილით ამოატარეს ბავშვი 11 ივნისს  
დაბა ზესტაფონში. იქ მყოფმა ხალხმა ნახა  
ეს ბავშვი და სუფელა გვირგობდა ამ სანქს.

ამ ბავშვის მამა და ბიძა კი სხვა ფიქრს მივიტენ.  
ამათ იფიქრეს, რომ ეს ბავშვი ჩვენი მიზნით არის  
ავითა. ამით ამ ოთხი-ხუთი წლის წინთ განყოფილ-  
ბა ქონდათ ერთი-ერთმანეთში. როგო გათვინდნენ, შე-  
ფიქრეს ერთმანეთს, რომ აღარ შეეძლოთ განყოფილება.  
მარამ ეს ფიქრი მათ მალე გატყეს. აი ამ გარემოებამ  
დააფიქრა ალექსანდრე და სიმონა მუმილაძეები.

ამისათვის მივე 11 ივნისს, როგორც მოვიდნენ  
სასლში, სოფლის ჩვეულებისა მებრ, იუიდას ერთი  
მოხვერი და გამოსწიეს წევას ეკვლისასვე და თან  
წამოიუვანეს ავით-მყოფი. მოსვლისათხანვე ბავშვმა  
გადაიხდა სახანი უჩემში და სრულიად ტანთელი შევიდა  
ეკვლისაში. დაიჩქა წმინდის გიორგის ხატის წინ.  
ანთო ხელის თითებზე წმინდა სანთელი და ასე იყო  
დაჩქებული, სანათ სანთლები არ დაიწვენ. აქ დამსწრე-  
ების გაკვირებას საზღვარი აღარ ქონდა! ბავშვი კარში  
გამოვიდა სრულიად ტანთელი. მე გამოვივითხე ქალს,  
თუ ესლა რას გრმობდა იგი? ანაფერი გტვივა-მეთქი?

მან მიპასუხა: „მე ესლა სრულიად ვარგად გრმობ  
ჩემ თავს, და აქამდის კი ყოველი სხეული შეკრული  
მიქონდა და გული საშინლათ შეხუთული და შეწუხუ-  
ლია; სად ვიუავი, არ მახსოვს. მსოფლად სიზმარი  
ენახე და ამ სიზმრის სათქმელათ გამეხსნა გბილვი და  
გივრმე, რომ ჩემ გარეშემო ხალხი იყო. ბურათ და-  
ვინახე ჩემ გარეშემო ხალხი». ესლა გამოვივითხე მის  
მშობლებს, თუ ამ ავითმყოფობის წინად როგორ იყო  
სოფლმე ეს ბავშვი-მეთქი? მათ მიპასუხეს: «მე ბავშვი  
ტანმრთელი იყო და ამის მეტად მავნირათ არასოდეს არ  
ყოფილა ავითა. იმ ღამეს ბავშვმა ისე თავისუფლათ  
სკამა სკამელი, ვითომც არასოდეს არ ყოფილიყო  
ავით. მასჟან ის ბავშვი სუფელად წარვა-ლოცვაზე  
დაიარება და მას ანაფერი ნიშანი ავითმყოფობისა აღარ  
ემჩნევა».

ამ შემთხვევამ დიდათ გაკვირვა მთელი სოფელი.  
ჰეშმარით სოფლარი იყო ეს შემთხვევა! ვერ ავინს-  
ნია, რას უნდა მიაწერას კაცმა ეს შემთხვევა თუ ღვთის  
ძალას არა!

მღვ. გ. მალრაძე.



### ნ ე კ რ ო ლ ო გ ი.

შოკანის სახელმწიფო მისიის სამედიცინო დასთან შოკის სიკვდილმა მოგვტაცა შტატ-გარეთ მეფეთა პარტიისანი მღვდელი დაკითხვითი კონსილი, რომლის უკანასკნელი გამოთხოვების და დასაფლავების დღე იყო დანიშნული ამ 1893 წლის 11 იანვარს.

მ. კონსილი ჩამომავლობით იყო სპეციალური დებისგან, დაიბადა 1818 წელს, 27 სექტემბერს.

განსვენებულმა ჯერჯერობდა შეისწავლა ქართული საღმრთო-საეკლესიო წიგნები. მთავარ-დასკვნად სელ-დასხმულ იქმნა იმერეთის ეპისკოპოსის ეკთმეს მიერ 1855 წელს. მღვდლად სელდასხმულ იქმნა იმერეთის ეპისკოპოსის გერმანეს მიერ, 1857 წელს 5 ანვარს და განწესებულ იქმნა მღვდლობის ხარისხით ხონის წმიდის გიორგის და წელაფორთის ეკლესიებზედ შოკანის მისწავლით, სადაც მღვდლობდა პარტიისად და მრევლთან შეთვისებული სუფარულით 1892 წლამდე და ამ წელს კი შეუნიშნავად დათხოვნილ იქმნა წმინტებული მის-დაში მრევლისგან. დიდ ხანს არ გაუვლია დათხოვნის შემდეგ, რომ განსვენებული უგვი გამოეთხოვა ამ სოფელს.

ანდრძის აკებაზედ დაესწრნენ თანამშინი ცხრა მღვდელი, მათ შორის ბრძანდებოდა ბერძნის აკრძიმანდრითი ნიკანდრი. შემდეგ ანდრძის შესრულებას მღვდელმა ა. ანდრძელმა წარმოსთქვა შემდეგი მოკლე სიტყვა:

«ჴეშმარითად გულმოსაკლავია მათთვის მსაღმდ, ვინც გულში ჩაიხრდავს, თვლით ჴეცად აღიხრდავს, ხელებს გულზედ დაიდებს და ამ სახით მოაგონებს შენს უკანასკნელ წამებს. დიხრა მამა დავით! ჴეშმარითად ტეტივი, თუმიცა შენ შთამომავლობით გლეს-თაგანი იყავი, მაგრამ შენ შენი წმინდა გონებით განამზადე თავი შენი საღმრთო მსახურების მისაღებად, შეუწყველად შენთა მშობელთა, შეუწყველად სხვა გარეშე პირთა. შენ ჩაინერგე გონებაშია საღმრთო მადლის მიღება და შენში აღმწული სურვილი დაგვირგვინდა საღმრთო მადლის მიღებით. გადმოკვლიან შენზედ

სულს წმიდის ძალი, სიტუვისაგან წმიდისა სახარებისა: «ემიბელი და ჴხოვო», «იჩეკელი და განტეღესთ», «თხოვლი» და მოგვცეს». ეს წმიდა სახარების სიტუვი ჴეშმარითად შენზედ აღსრულდა; თუმიცა შენ ანავი-თანი სასწავლებელი არ გქონდა შესრულებული, მაგრამ მიუსხრდად ამისა შენ მოგვნიჭა მღვდლობის ხარისხი, მღვდლობაში შენ იყავი მარჯვე აღმასრულებელი უკვლავარ მღვდელ-მოქმედებათა შენდა წმინტებულ მრევლთა შორის; მრევლისაგან იყავი შეყვარებული და მუდგრთ მითვისებული, შენში არ იყო მიდრეკილება პირადი სარგებლობისადმი, შენ გიყვარდა და კადეც დაუხარებლად აღსრულებდი ყოველ საღვდელ-მოქმედო წმიდა საღვმელთა, წმინტებულ შენდამოკვლავისათა განმშენიერებისათვის შენ ზრუნავდი ისთე, რომ გრც შენი პირადი სარგებლობისათვის. ამ სახით შენ დიხსრულად დამისახურე შენისა, მაგრამ საუბედუროდ დროთა ვათარებამ აღარ დატყდა არც შენისაგ მღვდობა და არც სხვა, რც გზადდა გულით.

უკანასკნელ დროს შენ ხშირად გაიმოკრებდი ხალქმე: «ნეტარ იყვენ დვენულნი სიმართლისათვის, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა».

«სტანდით, მინო ჩემო! სტანდით თანამწიველნი ჩემო! სტანდით თქვენ ჩემი მომარბობით!.. ხალქმე განმზადებულ ვარ წარდგომად წინაშე მართლ-მსჯულისა, სადა არა არს თვალ-ღება, უსამართლდება. დაზგვარ და სხვ...»

და ჩვენც დღეს უკანასკნელად გამოთხოვით მარჯვენას და მატეთა გამომარბობით შემდეგი სიტუვით: «მშვიდობით, თანამწიველო მამა დავით! მშვიდობით, გულკეთილო საუვარელო მამა დავით! მშვიდობით კეთილო მწუემსო. ვკვადრებით დმერთსა, რათა მან დაგიმკვიდროს სასუფეველი ცათა და ნაცვლად ამ გვეყნის უსამოკნებისა მოგაგოს შენ ნეტარება ცათ შინა».

განსვენებულს დაჩნა ღრი სრულ-წლოვანი ვაჟი.





### სწორეთ საოცარი ხალხია ჩვენი სახალხო სკოლების დირექტორები.

სელმწიფე იმპერატორმა კეთილინება დამტკიცება სამრევლო სკოლების წესდებისა და უმეწაფესად ბრძანა, წათა ვეკლა სამრევლო ეკლესიებთან დასრულ სამრევლო სკოლები. ბ. ლივიციამ ვი გამაგრება, რომ სამრევლო სკოლები არ გახსნან საერო სკოლების მსგავსად 8 ვერსის მანძილზე. ბ. ლივიციის ბრძანება რომ ასრულებულიყო, მთელს ეპარქიაში რცირდე სამრევლო სკოლა თუ გაიხსნებოდა, თორემ მეტი არა. რაგაგრე იქმნა დაჯგურეს ბ. ლივიცია, რომ ამჟვარი მისი განკარგულება უკანონო იყო. მაგრამ ბ. ლივიცია გარჯის თვალთ მანინ არ უფურებს სამრევლო სკოლებს. მის ჭკონია, რომ სამრევლო სკოლები ვრცელდებიან ჩვენს იმპერიაში არა ჩვენი უმაღლესი მართებლობის ნება-რთობით და განკარგულებით, არამედ ვიღაც მღვდლების თაობაზე! მის წინეთ უმაღლესმა მართებლობამ გამაგრება, რომ აკადემიაში სწავლა-დამთავრებულთ, სასკოლო წარებით აღზრდილთ, შეუძლიათ სამრევლო სკოლებში დაიკავონ მასწავლებლის ადგილები, ვიდრე სხვა თანამდებობას იშოვიდნენ და მისთან სამრევლო სკოლებში სამსახური ვემოთ აღნიშნულ პირთ ჩატარებათ სამსახურში შენიის მიღების დროსო. უმაღლესად გამაგრება, რომ საოცარტო სემინარიებში კურს დასრულებულთ არ გადახდეთ მათზე დასაწყული ფული სემინარიებში, თუმცა ისინი მოისურვებენ სამრევლო სკოლებში მასწავლებლად გადასვლას. ბ. ლივიცია ვი დღეს უნივის საოცარტო სემინარიაში კურს დასრულებულთ, რომელნიც სამრევლო სკოლებში ასწავლიან და მღვდლადც არიან სელდასხმულნი, რომ მათზე დასაწყული ფული უკანვე დაბრუნონ. ბ. ლივიციის აზრით დაღუპულია საოცარტო სემინარიაში კურს დამთავრებულზე დასაწყული ფული, ვინაიდან ისინი, მისის აზრით, სასკოლო ინტერესებს ვი არ ვიხსნებებიან, არამედ სამრევლო სკოლებს და ეკლესიებს?! სასკოლო წარებით სამსახურად ბ. ლივიციის მანინა მართა

საერო სკოლებში სამსახური. დიას, ასე ვარჯიშდებით რაგაგრე ბატონებს ჩვენი სასკოლო წარებით. და ამისთანა პირებს დიდ ჯამაგირებთან ერთად ამღვრენ, ესრედ წოდებულს, «დაბავრნი»-ებს ამ მიზნით, რომ ამ ვაჟ-ბატონებმა კეთილ ინებეს, მოწაფლება მოიღეს და სურვილი განაცხადეს ვაკასიაში მსახურებაზე!

დ. ლ. ლამაზიძე

### ახალი ამბები და შენიშვნები.

თბილისის სემინარიის რექტორს, ანტიმანდრიტს სკოლაში უთხოვია მათი ძალად უფლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარქოსის ვლადიმერისათვის, რომ თბილისის სასულიერო სემინარიის ეკლესიაში უფლად სუთშაბათობით ქართულად სწორან. წიგნის დროს სემინარიის შექვესკ კლასის რაგაგრეთმა მოწაფეებმა ქართულად უნდა ივალდონ. სწორეთ მშენიერი განკარგულება, მაგრამ ვიდრე უკეთესი იქნებოდა, რომ ერთ გვირა-დესასწაულ დღეში რუსულთ ვწინათ და მეორედ ქართულად. მასინ არც მისთან მოწაფეები მრცდებოდნენ გაგეოთილებს და სემინარიის ვეკლა მოწაფეებიც დაესწრებოდნენ ქართულ წიგნ-ლოცვას.

\* \*

თბილისის სასულიერო სემინარიის ინსპექტორს, ბერ-მონაზონს იოანნიკეს ებოა ანტიმანდრიტობა და დანიშნულ იქმნა ვიგვის სასულიერო სემინარიის რექტორად, ნაცვლად ანტიმანდრიტის პეტრესი, რომელიც უმაღლესად დინიშნა სურუმის ეპისკოპოსად. ასეთი დაწინაურება მ. იოანნიკეს სასიამოვნოდ დაუწინა საქართველოს სამღვდელეობას, მაგრამ ამისთანა პაციოსანი ინსპექტორის მოშორება უეკლას საწევნად დაუწინა. სამწუხარად, ამ ბოლო დროს ძლიერ ხშირად იცვლებიან ჩვენი სემინარიის რექტორები და ინსპექტორები და ამ ტარებებამ, არ შეიძლება, ცუდად არ იმტკიდლოს სწავლა-აღზრდის საქმეზე ამ სასწავლებელში.



# სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

ე რ ა.

(გაყოფა ფუტკრის ოჯახისა რამდენიმე ოჯახად).

(გაგრძელება \*)

ერთი სკილამ შეიძლება რამდენიმე ნაყარი გამოვიდეს. ნამდვილი არის პირველი ნაყარი, რომელსაც მიჰყვება კვერცხის მადებელი ძველი დედა; შემდეგ ნაყარებს გაჰყვება ხშირად რამდენიმე უნაყოფო (უმამლო) დედა. შეიძლება ყრამლის ძველი დედა, რაიმე მიზეზის გამო, დიკარგა, ანუ მოკვდა, ფუტკრები ახალს გამოიყვანენ და ამისთანა შემთხვევაში პირველ ნაყარსაც ახალი დედა გაჰყვება.

ხშირად ხდება, რომ ფუტკრები სულ გამოდიან და სტოვებენ ცარიელ სკას. ეს არ არის ყრა; ეს არის მშვიერი, ანუ ბურონისაგან დასუსტებული ფუტკრის ოჯახი. ამისთანა ფუტკარი ხშირად პატრონისათვის დაკარგულია. დიდი ცოდნა და მოვლა უნდა მის გაღონიერებას.

## ფუტკრების გარჯილობა.

კარგ ნაშრომობის დროს და ამინდებში ფუტკრების გარჯილობა ჭეშმარიტად გასაოცარია. ამგვარ გარემოებაში მათი სიცოცხლე არ აღემატება ექვს კვირას—მალე იხრცებიან უზომო შრომისა გამო. რამოდენად გამრჯელები არიან ისინი, სჩანს იმისაგან, რომ კარგ ნაშრომობის დროს მათ 14 დღის ვანმავლობაში შეუძლიათ არა თუ მარტო მოამზადონ სკაში, არამედ გააესონ კიდევ თაფლით და სხვა საჭირო ნივთიერებაებით. ამაში დარწმუნდებით, თუ ნაყარს ნახავთ მეხუთმეტე დღეს ახალ სკაში ჩასმის შემდეგ. ღონიერი ნაყარი ამ დროის განმავლობაში შეიღრვა ჩარჩოს გავესებს ფიჭით, ბარტყით, მათთვის

საკვებად საკმარი თაფლით და ყვავილის ფქვილით. ძალიან კარგ დღეებში მათ შეუძლიათ დღეში მოაგროვონ 7-დან 14 გირვანქამდის თაფლი და მასთან არ დასტოვონ სხვა სამუშევარიც.

მიუხედავად ამისა მოხდება, რომ ზოგიერთი სკები ზარმაცობენ და არ იჩენენ ისეთს მოქმედებას, როგორსაც იჩენენ სხვები. მისი მიზეზები, შეიძლება, ბევრნაირი: დედოს დაკარგვა, ავადმყოფობა მისი, ანუ სიბერე, ბარტყების სიმრავლე, რომელიც მომწიფებული ფუტკრების სიმრავლესაც მოითხოვს. შეიძლება, რომ ახალი გამოჩენილი თაფლის წყაროჯერ ვერ მიგნოსთ, ანუ კიდევ და სკა თაფლით, შეიძლება, სავსეა. თუ გსურსთ ამისთანა სკების მოხმარება, დაობლებულს უნდა მისცეთ დედა, ავადმყოფს ანუ ბებერ დედოიანს—კარგი დედა, ამოაკლოთ თაფლი თაფლითსავსეს და—ბარტყი ბარტყით სავსეს და მათ მაგიერ მისცეთ ცარიელი ფიჭები. რომლებსაც ახალი თაფლის წყარო ვერ მიუგნიათ, მათ წააჭამეთ ცოტაოდენი თხელი თაფლი, რომ გარედ სამუშევრად გამოიტყუოთ. ღონიერი სკებისათვის სასარგებლოა აგრეთვე ბინის გადიდება, რომ ხელი არ შეეშალოსთ თაფლის შენახვას და აგრეთვე ფიჭებიც აკეთონ, რადგანაც ფიჭის მკვეთრად ფუტკარი მეტად მშრომელია.

## ფუტკრების სისუფთავე.

რამოდენად შრომა და მოქმედება ფუტკრებისა გასაკვირალი, იმოდენად სისუფთავეა მათი სანატრელი ყოველი გონიერი კაცისათვის. არასოდეს არ შეიძლება, რომ საღმა ფუტკარმა თავის ნაკელით სკა გააუწმინდუროს; აგრეთვე იწვევს მათ ყურადღებას ყოველგვარი უწმინდურობა სკაში. მკვდარ ფუტკრებს, ფიჭის ნაგლეჯებს და სხვათა მაშინვე გაიტანენ სკიდგან. შეიძლება სკაში მოკლეს ცხოველი, ანუ მწერი და ვერ შეიძლოს მისი კარში გატანა, მაშინ ისინი დაფარენ მას დინდგელათი, შემოილესენ გარშემო, რომ სუნით არ შეწუხდნენ. კარგად იციან, რომ მათთვის დამხალი მტრები უფრო მენებელნი არიან როგორც სუნით, აგრეთვე მით, რომ ისინი ხდებიან მათი მტრების გასაშენებელ ბუღეთ.

## თავის თავის დაცვა ფუტკრებისაგან.

ფუტკარი იკბინება მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ხელით დააწებებინა, რამეზედ მიატყლეთენ, პირის

იხ. «მწყემსი»-ს მე-17 №, 1893 წ.



სიმყარეს ჩასულთქმენ სკაში, ერთის სიტყვით, როდესაც რითმე აწუხებენ; აგრეთვე იკბინება სკის ახლოს სკისა და დედოს დასაცველად. თავის ბინის მოშორებ კი, გარედ მუშაობის დროს, ის მეტად ფრთხალი მწერია და არაოდეს არ ფიქრობს, რომ პირველად თვითონ დაეცეს თავის მტერს, რადგანაც კარგად იცის, რომ კბენის შემდეგ უნდა მოკედეს, საკბენი იარაღი კბენის დროს ნაკბენ ადგილში რჩება და იმის შემდეგ მისი გადარჩენა შეუძლებელია. მაგრამ თუ სკის ახლოს დგახარ და აქნეე ხელს, ანძრეე თვალებს, წარბებს, თავს, ტანისამოსს, ფუტკრები ძლიერ ხელდებიან და იკბინებიან.

ვინც ჩუმად უფლის ფუტკრებს, ერიდება ხმაურობას და მოძრაობას, ის თავისუფალია ფუტკრების კბენისაგან. ერთჯერ დაკბენილს ფუტკრებისაგან კაცს, შემდეგი ნაკბენები ძლიერ აღარ უძნელებდა და არ უსიყვდება. ფუტკრებისაგან ძალიან დაკბენილ კაცს აძლიერენ შაქარზე დასმულს სამის და არა მეტის ფუტკრის გვესს; სიმსინენ საათში გაივლის. სკებთან მუშაობის დროს მზად უნდა გქონდეს მაკიდონელის (ოხრახუშის) ფოთლები. ნაკბენზედ უნდა წაისრისოთ და აღარ გასიყვდება.

### ქ უ რ დ ბ ა

კარგ ამინდში, როდესაც მცენარეულობას თაფლი არ აქვს, ზოგიერთი ფუტკრები ემგზავრებიან სხვა სკები-საკენ თაფლის მოსაპარავად. თუ ერთმა ფუტკარმა მანაც იშოვა საქურდალი, ნაქურდალი მას მიაქვს სკაში, შემდეგ გაბრუნდება ხელმოკრედ, მაგრამ არა მარტო, არამედ მრავალი სხვა ფუტკრებითურთ. ამ გვარად რიცხვი ქურდებისა თან-და-თან იმრავლებს და ბოლოს ქურდობა ცარცვად გარდაიქცევა. ხშირად მოხდება, რომ ქურდები დაეცემიან სუსტ სკას, დაზოცენ ყარაულებს, წაართმევენ, თუ რამე აქვსთ მათ და დანარჩენ ფუტკრებსაც თან ტყვედ წაიყვანენ. ქურდების პატრონს ამით არაფერი სარგებლობა აქვს, ამიტომ რომ ფუტკარი, როგორც კაცი, თუ ერთჯერ დაადგა უპატიოსნო გზას, მისი გასწორება ძნელია, როდესაც სხვაგან გამოვლევათ ქურდებს საქურდალი, მას უკან მეზობელ სკებს შეეპატიჟებიან და რამოდენიმე დღის განმავლობაში მთელ საფუტკრეს გაანადგურებენ. მეფუტკრე ხშირად ვერ ატყობს, რომელ სკაშია ქურდობა, ქურდვენ სკას, თუ სკა

ქურდობს, ვერ გაუგია, ამ შემთხვევაში მეფუტკრემ უნდა დაიჭიროს ფუტკარი, გასრისოს: თუ ცარიელი აქვს ჩინჩახვი, მაშინ სკიდგან სხვაგან მიდის საქურდალად, თუ საესე აქვს თაფლით, მაშინ სკიდგან გააქვსთ თაფლი. ანუ ასე უნდა მოიქცეთ: სკის გამოსაფრენ თვალთან დასდგებით და ზვეილგან ფქვილს დააყრით წამსლეელ ფუტკარს. თუ ფუტკარი სადმე სხვა სკაში შევიდა, მაშინ უკანასკნელი გასინჯეთ და რომელიც სუსტია, იმას ქურდობენ.

როდესაც შეიტყობთ, რომელი სკა იქურდება, მაშინ ორად შეკეცილი ბადე, ანუ მის მსგავსი საგანი წააფარეთ საფრენ თვალზე და თუ ქურდები უეჭველად მოერიდებიან, სკაში მცხოვრები კი მალე მიეჩვიებიან. ქურდების წინააღმდეგ საშუალებად ითვლება აგრეთვე ნავთი. მას წაუსმენ გამოსაფრენ თვლებზე, ქურდები სუნს ერიდებიან და ქურდობას თავს ანებებენ, დამხდურები კი აღვილად ეჩვიებიან შემაწუხებელ სუნს.

### ფუტკრის წებო ანუ დინდგელა.

გარდა თაფლისა და ყვავილის ფქვილისა ფუტკრებს შეაქვსთ სკაში ფგრედ წოდებული წებო ანუ დინდგელა—ფისის მსგავსი ნივთიერება, რომელსაც იღებენ ფუტკრები ყლორტებსა და ნორჩ ფოთლებიდან. დინდგელას ხმარობენ ჯუჯუტანების და ნაზზრების დასაგლეხად, აგრეთვე სკაში მკვლარი ცხოველების დასახულრავად, გადასალეხად, რომ დაღობის დროს არ შეწუხდნენ სუნისაგან. დინდგელა, გარდა ამისა, იხმარება გამოსაფრენი თვლების დასავიწროებლად სიცივეში.

### კრძნობანი ფუტკრისა.

ყნოსის გრძნობა ფუტკარს, უეჭველია, ძლიერ განვითარებული აქვს; მის საშუალებით მას შეუძლია გამოიცინოს თვისი ბინა, თავისი დედო სხვისაგან, თავისი თანამშრომლები სხვა ფუტკრებიდან. ამბობენ, რომ თვითთელი დედო განსაკუთრებულ სუნს აძლევს სკასო და, სწორედ, კკუაში მოსასვლელიც არის. რამოდენიმე საათის მანძილზე ისინი ტყობულობენ თაფლის არსებობას და ეშურებიან საშოვარს, აგრეთვე აღვილად პოულობენ მოშორებ დადგმულ



თაფლს. თანასწორ ყნოსვისა განვითარებული აქვსთ მათ მხედველობაც. ყრის ანუ ნაფარდობის დროს, როდესაც ჰაერში გაცოფებული ირევიან ერთი-ერთმანეთში, არ შეიძლება ერთი მეორეს დაეჯახოს, თვალები ფუტკარს ორგვარი აქვს: ორი აქვს თავის იქით-აქეთ და სამი წინ ერთად. აგრეთვე ძლიერ განვითარებული აქვსთ ფუტკრებს შეხების, სმენის და გემოვნების გრძნობანი.

**სახრდო ფუტკრებისა.**

ფუტკრების სახრდო არის თაფლი და ყვავილის ფქვილი. თაფლი, რომელსაც ზიდვენ ფუტკრები სათაფლე ჩინჩხვით, შესდგება ნახშირბადის, წყალბადის, მჟავბადის და რამოდენიმე აზოტისაგან. ყვავილის ფქვილი კი, რომელსაც აგროვებენ ფუტკრები ყვავილებისაგან, შესდგება უმეტესად აზოტის ნივთიერებისაგან. ჰირველი შევლის უფრო სუნთქვაში და სითბოს შენახვაში, მეორე კი აძლევს სისხლს და ხორცს—აახლებს ფუტკრის სხეულს, ამისათვის ბარტყების საკვებად უფრო საჭიროა ყვავილის ფქვილი. გასაკვირალი არაა, რომ ფუტკრები გაზაფხულზე ძლიერი ბარტყობის დროს დიდს მოწიწებით ეზიდებიან ფენებით სკაში ყვავილის ფქვილს. რადგანაც ეს ნივთიერება ზამთარშიაც საჭიროა, ფუტკრები კარგ ნაშოვრობის დროს ფიჭვში აგროვებენ მას, გლესენ თავს და ინახვენ. ეს შენახულება დიდ საჭიროებას შეადგენს, რადგანაც ფუტკრები თითონაც ხმარობენ ზამთარში და უფრო მეტად ბარტყებისათვის ახალ გამოზაფხულზედ, როდესაც ჯერეთ კიდევ კარში არ მუშაობენ სიცივეებისა გამო. გადალესვა, თავის დახურვა თაფლიანი და ყვავილის ფქვილიანი ფიჭვებისა მისთვისაა საჭირო, რომ თუ თაფლია დარჩა, თაფლიცა და ფქვილიც სითბოსა და სინოტიესაგან მჟავდება და ფუტკრებისათვის მეტად მავნებელი შეიქმნება. მართალია, რამოდენიმე ფიჭვის თვლები თაფლია რჩება, მაგრამ მათ ფუტკრები სტოვებენ დასახარჯად და მალე სჭამენ. თაფლისა და ფქვილის ზავისაგან ფუტკრები წყლით ამზადებენ ბარტყების საკვებს. ეს რომის მსგავსი საკვები ისეთი საჭირო არის ფუტკრის მატლებისათვის, როგორც ნამდელი რძე ცხოველების ბარტყებისათვის.

თუ ნაშოვრობა უხვია, მაშინ ფუტკრები მეტს თაფლსა და ფქვილს სჭამენ, ვინემ მათი არსება მოითხოვს, რისი შედეგი არის ნამეტანი საქმელის ქონად ქცევა და ოფლად გამოსვლა ტანიდან, რომელსაც ჩვენ უწოდებთ წმინდა სანთელს.

რომ ავილოთ ფუტკარი და დავაცქერდეთ მუცელზე, ჩვენ შევამჩნევთ ოთხ რგოლს. ამ რგოლზე არის რვა პატარა ხილრმავე, რომელშიაც გამოდის სანთელი თხელი ქერწლის ფრად; ეს ადვილად შევამჩნევია უბრალო თვალით. ამ ქერწლებს ფუტკრები ერთ-მეორეს აცლიან და აშენებენ ფიჭებს. ხშირად ნახაეთ ამისთანა ქერწლებს დაბნეულს სკის იატაკზე.

**რედაქციის პასუხი.**

მღვდ. ი. ბ.—ქეს. სახარება ბრძანებს: „რომელმან აღიზალოს თავი თვისი, იგი დამდაბლდეს და რომელმან დაიდაბლოს თავი—იგი ამაღლდეს“. ვეცადოთ, რომ ჩვენი მოვალეობა მტკიცედ აღვასრულოთ და სხვის თქმას უურადლებას ნუ მივაქცევთ...

ი მ ე დ ი ს ა ვ ტ ო რ ს. მუშენიერი ლექსია, მაგრამ რაღაცა ფიჭვი გაქექს მის არიგინალობაზედ...

დ. ალ. გვ—ას. წერილი დიდა და მნიშვნელობა მცირე აქვს. არ იბეჭდება.

მალ. პოლ.—ქეს. თქვენი ლექსი ტყვე (მიბაძევა) არ იბეჭდება.

გ ი ნ მ ე ს. ყველა მღვდელს, რომელსაც კი სურს, შეუძლია საეკლესიო უწყებანი გამოიწეროს ბლაღოჩინის დაუკითხავად. გროში ვაპიკი არ უნდა გადახდეს მრევლს სიების შედგენისათვის, მაგრამ ალბათ იქ, სადაც მკვლას და რბილში აქვსთ გამჯდარი „აღების“ სურვილი, იღებენ და იძლევიან კიდევ ალბათ...

**შინაარსი:** ქართლ-კახეთის მთელი სამღვდლოების ეპარქიალური კრებისა გამოქ. თბილისში.—წერილი ახალსენაკიდან.—შედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლების მასწავლებელთა საურადადებოდ.—წერილი რედაქციის მიმართ—საოცარი შემთხვევა.—ნეკროლოგი.—სწორეთ საოცარი ხალხია ჩვენი სხალხო სკოლების დირექტორები!—ახალი ამბები და შენიშვნები.—გაყოფა ფუტკრის ოჯახისა რამოდენიმე ოჯახად.—რედაქციის პასუხი.